

აღაშიანის მემკვიდრეობითობის უზყვეტობა გვეხანა-სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მისიაა!

ეთერ თაკალანძე
ემდ

უდავოა, რომ მატერიალიზმი დღემდე რეალიზდებოდა ძირითადად, ქვეყნების მიხედვით, ადგილობრივი მკვიდრი რელიგიური აღმსარებლობის მორალური პრინციპების ნიადაგზე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სახით, (სახელით!). ამ იდეოლოგიას საქართველოში (საბჭოთა კავშირი) თავის დროზე, „ფორმით მატერიალისტური და შინაარსით სოციალისტური“ ენოდა². ანუ, მატერიალისტური იდეოლოგია, თუ კი იგი ეროვნულია, მაშასადამე, სოციალისტურიც არის, რამეთუ ერი თვითონ სოციუმია – სოციალური ბუნების მატარებელი და დამცველი საზოგადოებრივი წარმონაქმნია; მაგრამ როცა ე.ნ. მრავალეროვანი სახელმწიფოს (საბჭოთა კავშირი) არსებობისათვის, მისი სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში ძლიერება პრიორიტეტული გახდა, ამ ნადაგზე, ამ კავშირში, მეტ-ნაკლებად შეიღახა რა რომელიღაც ქვეყნის თვითგანვითარების ეროვნული მოთხოვნილება, ცხადია, ეს სახელმწიფო („კავშირი“) უპერსპექტივოვ შეიქმნა და საბჭოთა კავშირიც საბოლოდ, დაიშალა; შემდგომშიაც, – ამგვარმა ძალადობრივმა ანტიეროვნულმა სახელმწიფოებრივმა სტრატეგიულმა პოლიტიკამ (მრავალეროვანი სახელმწიფო), დღევანდელი მსოფლიო მონოპოლისტური კაპიტალიზმი რომ ჩამოაყალიბა, დღეს უკვე მე-3 მსოფლიო ომის აშკარა საფრთხე შექმნა.

მოკლედ, სახელმწიფოს ძალადობრივი უფლებამოსილება, როგორც კი გასცდა ქვეყნის ტერიტორიულ საზღვრებს, ანუ – როგორც კი გასცდა იგი სისტემა სამყაროს (ენა, მამული სარწმუნოება) და, მაშასადამე, – ეკონომიკურ პოლიტიკაში, იგნორირებულიქნა რა ერის თვითშემოქმედების სულიერ-მატერიალური ბაზის მთლი-

1 გაგრძელება. დასაწყისი იხ. უურნალი „ეკონომიკა“ №9-10, 2012.

2 ი. სტალინი, „სოციალიზმის პრობლემები სსრ კავშირში“, თბილისი, 1949 წ.

ეპონიმიარი თეორიის თანამედროვე პრებლეგაზი

ანობა, მაშინვე, საზოგადოებრიობა (ადამიანი, ერი, კაცობრიობა) უკვე წინააღმდეგობრივი, ომების შემოქმედი, ანუ არაკეთილმოაზროვნე, თვითგამანადგურებელი – ანტისულიიერი – არსება გახდა. ეს ბუნებრივია. როგორც ეს „ლაზარეში“ იკითხება, სამყაროოთხყარო, არის რა ერისა და ქვეყნის თვითგანვითარებისათვის ასტრო-ფიზიკურად გაპირობებული სულიერ-მატერიალური ბაზა, იმავდროულად არის, სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკური ეკონომიკური სუბიექტის, შემოქმედების ბაზაც და აქედან გამომდინარე არის იგი პოტენციალური მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური სუბიექტიც, ე.ი. საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ცენტრიდანული შემოქმედიც¹.

სახელმწიფომ, ადამიანზე მატერიალისტური იდეოლოგიით ზეგავლენის კვალობაზე გაარღვია რა ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრები, მიითვისა თავად ადამიანების კატეგორიებად (მდიდრები-ლარიბები, მესაკუთრეები- მუქთამჭამელები, დასაქმებულები – უმუშევრები და ა.შ.), – ანტისოციალური და ანტიდემოკრატული პრინციპებით დაყოფის უფლება; მან მოსახლეობის რიცხვის არაუმტესი, 10 პროცენტის ნება-სურვილით, დანარჩენი 90 პროცენტის ნება-სურვილის დაპყრობა, მართვა-დამორჩილება გადაწყვიტა (მიაღწია!?); სამაგიეროდ, – სწორედ ამ დროს, საქართველოში ახალი სიტყვის – „ლაზარეს“ ბაზაზე მოძიებულ იქნა ამ კრიზისიდან გამოსვლის მშვიდობიანი (პოლიტიკურ-მეცნიერული) გზა, რომელიც სოციალური და საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარების დონის მორიგ, 2000 წლიან ეტაპობრივ ამაღლებაზე არის ორიენტირებული; – მოძიებული იქნა „ლაზარე“ – ინფრორმაციული წყარო, რომლისგანაც ირკვევა (გამოკვლეულია) სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციისა და საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ოთხყაროთი განსაზღვრულობა და ამ სისტემის არამატერიალისტურად (სულიერი ფასეულობების პრიორიტეტი) წარმართვის დროულობა; გაცნობიერებულია ამგ-

1 საქართველო-ოთხყარო, როგორც დედამინის კონკრეტული, 12 რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული, ქართული, სოციალურ-მატერიალურად ბალანსირებული რესურსების ერთიანი ბაზა და, შესაბამისად ამ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის დროში უწყვეტად შემოქმედების ტერიტორიული სივრცე, ჩვენ განხილული გვაქვს ჟურნალში „ეკონომიკა“ №7-8,2012. გვ. 33-40.

ვარი წარმართვის ორგანიზების ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისია.

„ლაზარე“-ში გამოიკვეთება მეტადრე, **დროის**, როგორც ეროვნული-თვითგანვითარების რესურსის, სწორად გამოყენების სახელმწიფოებრივი ფუნქციური დანიშნულება, ასევე, შრომის ორგანიზაციაში „ლაზარეს“ სოციალური კანონზომიერების მოთხოვნების შესაბამისი, ახალი ძირითადი (არამატერიალისტური) მიმართულებისა და კონკრეტული, უმთავრესი აქცენტების დანერგვის აუცილებლობა; გამოკვლეულია, რაც არსებითა, ამგვარი აქცენტების მეცნიერული გააზრების თვალსაზრისით, შემდეგი სოციალური და საზოგადოებრივი განსაზღვრულობები:

– ქვეყანაში საზოგადოებრივი ურთიერთობების მშვიდობიანობის სტაბილურად უზრუნველყოფა არის ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის ზრდის ტენდენციას შენარჩუნების განმსაზღვრელი სახელმწიფოებრივი საქმიანობა;

– ადამიანის (გვარი, ტომი, ერი) კვთილგონივრული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც ეროვნული მეცნიერული პოტენციალის გამდიდრებისა და საზოგადოებაში მშვიდობიანობის საფუძველია, არის ამ ქვეყანაში ეროვნული ერთსულოვნების დომინირების ბუნებრივი წყარო; ანუ, იგი ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის ეტაპობრივ საფუზურებად ზრდაზე და ამ უკანასკნელის დაგეგმვაზე ორიენტირებული სახელმწიფოებრივი საქმიანობაა;

– ქალიშვილობის ინსტიტუტი არის რა ადამიანი-მოზარდის – ბიჭუნების, გოგონების – სოციალურ დანიშნულებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, სულიერი ჯამრთელობის დაცვა-შენარჩუნების სამსახური, არის ზოგადად ადამიანებს შორის მშვიდობაზე ურთიერთობების შემოქმედების, ერის მემკვიდრეობითობის უწყვეტობისა და, მაშასადმე, ერთს, კაცობრიობის სულიერი ჯანმრთელობის შენარჩუნების საფუძველი; შესაბამისად, იგი ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დაცვისა და დაგეგმვის ორგანიზების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სამსახურია.

– საერთაშორისო ურთიერთობები არის ქვეყანაში ადამიანის ეროვნული სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკ-

ეპროექტის თემატიკა თანამდებობა პროგლობიზმი

მაყოფილებაზე, ადამიანის ცნობიერების მეცნიერულ განვითარებაზე, მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდაზე ორიენტირებული სახელმწიფოებრივი სამსახური. იგი არის ერებს შორის მშვიდობიანი ეკონომიკური სულიერ-მატერიალური ურთიერთობების „ლაზარეს“ სოციალური კანონმდებლობის მიხედვით ორგანიზების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სამსახური, რომელიც, თავისთავად, საწყისი ეტაპია გეოპოლიტიკის ცენტრიდანული პირამიდული ორგანიზაცია-მართვის საქმეში.

– ქვეყანა-სახელმწიფო არის მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური სუბიექტი. იგი, იქმნება რა სისტემა ოთხყაროს (დრო, მამული, ენა, სარწმუნოება) სივრცეში, არის ამ სულიერ-მატერიალური ბაზის (ოთხყაროს) მემკვიდრე-მესაკუთრე; ანუ იგი განკარგავს ამ ბაზას, საიმისოდ, რათა დედამინის ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე დამუკიდებლად განახორციელოს ახალი 2000 წლეულის დამდეგს, სწორედ ამ ახალი დროის შესაბამისი (ამჯერად, – არამატერიალისტური) სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის შემოქმედება-მართვა;

– ეროვნულ-დემოკრატიული სახელმწიფოებრივი თეორია არის დედამინაზე სოციალურ-ეკონომიკური წინასწორობის 2000-წლი-ან პერიოდებად შენარჩუნება-გახანგრძლივების საქმიანობის მშვიდობიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციის იდეოლოგიური საფუძველი, რომელიც საზოგადოებრივი მეცნიერული-თვალსაზრისით არის დასაბუთებული. უზენაესი კანონის – „ლაზარეს“ მიხედვით.

დღევანდელ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ძალადობა თავისი ქვეყნის მოსახლეობასთან მიმართებაში, აქვარად იყო განხორციელებული მიმდინარე წლის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საარჩევნო მარათონზე; აქ ძალადობის დასაფარავად კარგად იყო გამოყენებული ფარული კენჭისყრის წესი. ხელისუფლებამ, ამომრჩევლის აზროვნება წარმართა რა არა მეცნიერების მემკვიდრეობით განვითარებაზე დაყრდნობით, არა-მედ ადამიანების ემოციების მართვის წესებით, მოახერხა ამომრჩევლის ყურადღების არაარსებით საზოგადოებრივ მოვლენებზე გადატანა და ამ გზით (მოტყუების გზით) ოფიციალურად მიღებუ-

ლად გააფორმა, ადამიანისა თუ ქვეყნის თვითგანვითარების ისეთი გეგმა-პროგრამები, რომლებიც გვერდს უვლიან (იგნორირებულს ხდიან) ამომრჩევლისათვის საძიებელ ძირითად საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, ქვეყნის თვითგანვითარების სოციალური მოთხოვნის აღსრულების თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად: სახელმწიფო ხელისუფლების დიდი ძალისხმევით, ჩვენი ამომრჩეველი, დღეს მოკლებულია ინფორმაციას, მაგალითად, იმის შესახებ, თუ რატომ განუდგა ამ არჩევნებს ქვეყანაში რიგი პოლიტიკური სუბიექტებისა, ან/და, რითი გამოირჩევა პოლიტ. გაერთიანება „ახალი სიტყვა“-ს სამუშაო გეგმა თუ პროგრამები სხვა პოლიტ. სუბიექტების მხრიდან შემოთავაზებულებისაგან? ან/და, – რატომ განაცხადა ამ გაერთიანებამ უარი ამ არჩევნებში მონაწილეობაზე?

ან კიდევ, – ჩვენი პოლიტიკოსები, რომლებსაც მრავალნლიანი გამოცდილება აქვთ ამ საქმეში, და რომლებიც მონაწილეობენ ამ (მიმდინარე წლის) არჩევნებში, რომლებიც თავიანთი პოზიციური თუ ოპოზიციური საარჩევნო პროგრამებით ორიენტირებულები არიან სამოქალაქო საზოგადოებისა თუ ერთაშორისი ინტეგრაციას ორგანიზებაზე ჩვენს ქვეყანაში, რატომ არ ახსენებენ ამ პროგრამებში ერს და ქვეყნის ეროვნული თვითგანვითარების იდეოლოგიას?! მეტიც, იბადება კითხვა: თუ კი ამ „პოზიციასა“ და „ოპოზიციას“ შორის იდეოლოგიური სხვაობა არ არის და ორივე ემხრობა ამ ხსენებულ იდეოლოგიას (ინტეგრაცია), გაუგებარია, ვის და რას ემსახურება ამ ინტეგრირების მომხრეთა ორად გახლება და ამ ორს შორის თავვამეტებული ურთიერთგამანადგურებელი დაპირისპირება, რომელსაც ქვეყნისათვის მხოლოდ შიდა აშლილობა, ადამიანების ურთიერთშორის უნდობლობა, ერის (ქვეყნის, სახელმწიფოს) თვითგანადგურება მოაქვს. საკითხავია, – როცა სახეზეა აქ წარმოჩენილი სოციალური დაძაბულობის სახით, ქვეყანაში ხსენებული, ინტეგრირების იდეოლოგიაზე აგებული, ე.ნ. სახელმწიფოებრივი რეფორმების ნაყოფი, რატომდა უნდა გაგრძელდეს იგივე იდეოლოგიური კურსი? – ხომ ბუნებრივია, რომ ეროვნული იდეოლოგიით ხელმძღვანელობა – შრომა და გარჯა – სისხლისმიერი მოთხოვნილებაა, ზოგადად, ადამიანისათვის და, – რახან ეს ჩვენი თანამემამულები არ ახსენებენ ამ იდეოლოგიას,

და ერისა და ქვეყნის სხვებთან ინტეგრირებისათვის იბრძვიან მხოლოდ, მაშასადამე, მათზე ზემოქმედებს სხვა, არაბუნებრივი, ანტიადამიანური, ანტიმემკვიდერობითი ძალა, რომელიც ქვეყანაში ამ რეფორმების სახით, იურიდიულად არის დაკანონებული. როგორც ჩანს, ამ ადამიანებს მატერიალისტური დამოკიდებულებები სწორედ ამ ძალასთან მიმართებაში, აიძულებთ, კაპიტალიზულის ყველა შესაძლებელი გზით დაუფლების კვალობაზე, პიარავტორიტეტის მოპოვებისა და თვითგამორჩეულობის მოძიების ფასად, მიაჩინათონ ამ არჩევნებზე ქვეყნის თვითგანვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია; რამეთუ, ცხადია, (და ეს მათ იციან), რომ მეურნეობრივი დარგისა თუ, ამათუ იმ კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები, ვთქვათ: დასაქმების, პენსიების, ბიზნესის, ასევე სამედიცინო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და, ა.შ. მიმართულებით საქმიანობების, ან კიდევ, ზოგადად, არსებული ეკონომიკური სტრუქტურისა თუ მთლიანად პოლიტიკური სისტემის ხელისშეწყობისა და, მსგავსი სხვა, ასე ვთქვათ, ყოველდღიური და ფრაგმენტული საქმიანობები, (რაც ამ ბატონების თაოსნობით შექმნილი საარჩევნო სუბიექტების პროგრამებშია გამოკვეთილი, ან/და, რაც იკითხება მათი ე.წ. სლოგანებით), არის, თავისი არსით, გვერდის ავლა იმ მთავარი საკითხისადმი, რასაც ჰქვია ერისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურად განონასწორებული სტაბილური თვითგანვითარება, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ადამიანის (ერი, კაცობრიობა), ე.ი. სახელმწიფოს, საარსებო დანიშნულებაა. ხოლო თუ კი ერმა და სახელმწიფომ ამ დანიშნულებაზე უარი უნდა ვთქვათ, – ეს უკვე არის ქვეყნისა და, შესაბამისად დედამიწის სოციალურ-ეკონომიკურ ბალანსირების საქმეზე უარის თქმა?!

ასე, რომ ეროვნული იდეოლოგიის როგორც, სახელმწიფოებრივობის თეორიული საფუძვლის, ამ საარჩევნო მარათონზე არ გამოტანა (მიჩუმათება, იგნორირება) არის ცხადია, ქვეყნისა და შესაბამისად, მთლიანად დედამიწის თვითგანადგურებისაკენ სვლა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნება დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანაა. მისი განხორციელება, ე.ი. მემკიდრეობითობის სოციალური მოთხოვნის დედამიწაზე დაცვა, „ლაზარეს“ შესაბამისად განსაზღვრული დამოკიდებულების გადასაცემა, ასევე სახელმწიფო ინტენსიური მომსახურების გადასაცემა, ასევე სამედიცინო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და, ა.შ. მიმართულებით საქმიანობების, ან კიდევ, ზოგადად, არსებული ეკონომიკური სტრუქტურისა თუ მთლიანად პოლიტიკური სისტემის ხელისშეწყობისა და, მსგავსი სხვა, ასე ვთქვათ, ყოველდღიური და ფრაგმენტული საქმიანობები, (რაც ამ ბატონების თაოსნობით შექმნილი საარჩევნო სუბიექტების პროგრამებშია გამოკვეთილი, ან/და, რაც იკითხება მათი ე.წ. სლოგანებით), არის, თავისი არსით, გვერდის ავლა იმ მთავარი საკითხისადმი, რასაც ჰქვია ერისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურად განონასწორებული სტაბილური თვითგანვითარება, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ადამიანის (ერი, კაცობრიობა), ე.ი. სახელმწიფოს, საარსებო დანიშნულებაა. ხოლო თუ კი ერმა და სახელმწიფომ ამ დანიშნულებაზე უარი უნდა ვთქვათ, – ეს უკვე არის ქვეყნისა და, შესაბამისად დედამიწის სოციალურ-ეკონომიკურ ბალანსირების საქმეზე უარის თქმა?!

ვრულ მორიგ ეტაპობრივ შემოწმებას, გადის ორიათასწლეულების გასაყარზე. ე.ი. ადამიანებმა, ეროვნებებმა და მთელმა კაცობრიობამ აღნიშნული ბალანსირებისა და მემკვიდრეობითობის პროცესი-სი-საქმიანობა 2000-წლიანი პერიოდულობით, სტაბილურად უნდა დაიცვან, ხოლო ახალ ორიათასწლეულში გარდამავალ პერიოდში, მათ ეს პროცესი-საქმიანობა თავ-თავის სამშობლოში უნდა განაახლონ. უფრო სწორად, უნდა განაახლოს იგი ყოველმა ადამიანმა (ერმა) თავისი, ან/და თავისითვის სამკვიდროდ არჩეული ქვეყნის ტერიტორიაზე – თავის ქვეყანა-ოთხყაროში. აქ უნდა აღასრულოს თავისი ეროვნული მისია ადამიანმა ყველა დანარჩენ სოციალურ-სტრუქტურულ ერთეულებთან (გვარი, ტომი, ერი, კაცობრიობა) ერთად, მშვიდობიანი თანაცხოვრებისა თუ საქმიანი ურთიერთობების პირობებში.

საგულისხმოა, რომ თუ კი კონკრეტული ადამიანი მისი სიცოცხლის (ვთქვათ, ასი წელი) მანძილზე, არის თავის ქვეყნის მკვიდრი, მაშასადამე, მისგან გამომდინარე დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების (ოჯახი, გვარი, ტომი, ერი) ამ ქვეყანაში დამკვიდრება არის უკვე ის პროცესი, რომელიც, სულ ცოტა, 400 (4X100) – წლიანი ეტაპობრივობით (ოთხი სტრუქტურული ერთეული) მზარდი პერიოდულობით გამეორებადი თაობების თვითგანვითარების საქმიანობას მოიცავს. ეს საქმიანობა კი, რომელიც 2000 წლიანი ხანგრძლივობით (ე.ი. 400X5), სტაბილურად უნდა ვითარდებოდეს, გულისხმობს იმას, რომ სწორედ, ქრისტიანული წელთაღრიცხვის ყოველი 2000 წლეულის გასაყარზე დამდეგი 5-წლიანი პერიოდი-სათვის, ქვეყნაში (ამ შემთხვევაში საქართველოში) ორგანიზებული სახელმწიფო ბიურო ხელისუფლების არჩევნების საარჩევნო პროგრამებში, მომავალი 5 წლის განმავლობაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის სტაბილურად დაცვაზე გათვლილი გეგმა-პროგრამები უნდა წარმოჩინდეს თვალსაჩინოდ და გამოკვეთილად.

ზემოთწარმოჩინებული სოციალური მოთხოვნის, ე.ი. ადამიანის სოციალური ბუნების ძალის, ძლიერება საზოგადოებასთან, ერთან მიმართებაში, დღეს პრაქტიკულადა გამოაშკარავებული ქართველი კაცის სულიერი ტკივილების სახით: ამ ბუნების მოთხოვნის, ე.ი. ეროვნული სულიერ-მატერიალური მოთხოვნილებების,

ეპონიმური თეორიის თანამდებობები პროცესში

თაობათა 20 მოდგმის ($20 \times 100 = 2000$) პოზიციიდან გააზრებულად წარმოჩნდების, როგორც სახელმწიფო ამოცანის, სრული იგნორირება, რაც საქართველოში დღევანდელ საარჩევნო მარათონზე ძალადობრივად (ახალი სიტყვის შესახებ ინფორმაციის ბლოკირების პირობებში) განხორციელდა, განაპირობებს იმ დაუსრულებელ წინააღმდეგობებს რომლის გამოც ეს არჩევნები სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით, უკიდურესად დაძაბული იყო. იგი, თავისი ხასიათით, ქვეყანაში სამოქალაქო ომის სამზადისს უფრო ჰგავდა, ვიდრე სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ, რამე დემოკრატიულ, ე.ი. საზეიმო, ღონისძიებას; ამასთან, ამგვარი დაძაბულობა აშკარაა ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდშიაც, ახალი ხელისუფლების უმრავლესობა-უმცირესობას შორის, ე.ი. ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ინტეგრაციის პოლიტიკური კურსის (გლობალიზაცია) მიმართ ეროვნული წინააღმდეგობები გაპირობებულია იმითი, რომ ეს არჩევნები თავისი ორგანიზებულობითა და ახლა უკვე შედეგებით, ორიენტირებულია ქართული ეროვნული მემკვიდრეობითობის მოშლაზე. პირდაპირ თუ ვიტყვით: ჩვენმა ხელისუფლებამ, მოახდინა რა ქვეყანაში უზენაესი კანონის „ლაზარე“ შემეცნება-გაცნობიერების თვალსაზრისით, ქვეყნის ბეჭდვით სიტყვაში არსებული მეცნიერული ინფორმაციის და ზოგადად ახალ სიტყვასთან დაკავშირებით, ყველა საჭირო მასობრივი ინფორმაციის ბლოკირება, გამორიცხა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მომზადების საქმეში დრო (2000 წლეული); გამორიცხა მან იგი, როგორც ძირითადი განმსაზღვრელი (დიქტატორი) ადამიანური ქცევისა, – გამორიცხა ის, რომ ადამიანის (ამ შემთხვევაში ქართველი ერის), მისიაა – დაიცვას სწორედ, დროის შესაბამისი სოციალური მოთხოვნებიდან გამომდინარე, თავის ქვეყანაში და შესაბამისად, დედამინაზე (ასტრო-ფიზიკური სხეული), სოციალურ-ეკონომიკური ბალანსი; – დაიცვას იგი სტაბილურად, 2000 წლის მანძილზე და შემდგომ უწყვეტად. ე.ი. ამ ხელისუფლებამ ვერ ირწმუნა ახალი სიტყვა და, იგი, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 18 წლის მანძილზე სახელმწიფოებრივად დაყენებულია სათანადო საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, არ გაისარჯა ამ ახალი სიტყვის შემეცნება-გაცნობიერების სახლმწიფოებრივი ამოცანის შესრულებისათვის; მან ვერ ირწმუნა და არც

შეისმინა ის, რომ დედამიწაზე ადამიანი ამგვარი კეთილგონიერების შემოქმედია, – რომ ადამიანი საზოგადოებრივი თვითშეგნების მატარებელი და დამცველი არსია, ხოლო სახელმწიფო მისი ყველა ძალაუფლებით, მხოლოდ ადამიანის ამ მისის აღსრულებას უნდა ემსახუროს.

საზოგადოებრივი მეცნიერება სოციალურის შემადგენელია. პირველი, სწავლობს რა საზოგადოებას, როგორც სოციალურ წარმონაქმნს, ეუფლება ქვეყანაში ადგილობრივი დაფებითი და უარყოფითი სოციალური ენერგიების ძალთა მოძრაობის „ლაზარები“ წარმოჩნდებულ სოციალურ კანონზომიერებებს, ამ ბაზაზე არკვევს სხეულის მიზიდულობა-განზიდულობის ზოგადი ფიზიკის კანონის შესაბამისად, ქვეყნისა თუ დედამინის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსირების კონკრეტულ სოციალურ მოთხოვნებს; – არკვევს ჩვენი პლანეტის ასტრო-ფიზიკურ სივრცეში განვითარებულობის დაცვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის კანონებს. ეს ყველაფერი, გულისხმობს ახლად აღმოჩენილი უზენაესი კანონის – „ლაზარე“ შემეცნებას, რომელიც, ამ ეტაპზე, საქართველოს-გან მოითხოვება.

ფაქტია კი ის, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად თითქოს უკვე გაამართლა ქვეყნის სახელმწიფოებრივ საქმიანობაში საზოგადოებრივი პოლიტ-ეკონომიკური მეცნიერების ეროვნულ დემოკრატიული თეორია- იდეოლოგიის იგნორირების პოლიტიკურმა სტრატეგიამ; ამ უკანასკნელმა, რომელიც დღევანდელ საქართველოში მსოფლიო პოლიტიკური კურსის (გლობალიზაცია) მიხედვით განხორციელდა და, რომელმაც ამგვარი გამართლების პრეცედენტი დააფიქსირა, პირამიდის (დედამინა) წვეროდან ანუ ცენტრისკენული დიქტატით მართვის გეოპოლიტიკას ეფუძნება და, გულისხმობს თავად პირამიდის შრეებში (ქვეყნები) ადამიანური აზროვნების იგნორირებას. ამ კურსის მიზანია ქვეყნებში და კონტინენტებზე ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის სოციალურად განსაზღვრული ეროვნული უფლებების თავმოყრა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ხელში და, ფარული დიქტატით (ზრახვა), ამ უფლებების მითვისება-დაპყრობა. დღევანდელ საქართველოში ამ არჩევნების შედეგების სახით, ეს მიზანი, ნაწილობრივ, მიღწეულია; ანუ, ამგვარად, – ქართველი

კაცისათვის აზროვნების თავისუფლების პირობების გვერდის ავლით – ამ არჩევნებში იგნორირებულია ალტერნატიული გეოპოლიტიკა; – იგნორირებულია ცენტრიდანული გეო-პოლიტიკა, რომელიც იყითხება ახლად აღმოჩენილ, უზენაეს კანონში – „ლაზარე“ და, რომელიც (კანონი), საქართველოში [თუნდაც ერთი ავტორისა და მისი მკითხველების (უურნალი ეკონომიკა 2004-2012 წწ.) მიერ] უკვე შემეცნებულია და გაცნობიერებულია კიდევაც; – ამასთან, რაც არსებითია გაცნობიერებულია რა ეს კანონი, გამოკვლევები ამ კანონის კონკრეტული სოციალური მოთხოვნების თაობაზე, დაინტერესებული მკითხველისათვის ხელმისაწვდომად გამოქვეყნებულია საერთაშორისო პერიოდიკაში (უურნ. „ეკონომიკა“).

აღნიშნული ალტერნატიული – ცენტრიდანული – გეოპოლიტიკა, განსხვავებით ცენტრისკენულისაგან, მოითხოვს ობიექტის (დედამინა, ქვეყანა, რეგიონი) ცენტრიდან მართვას; იგი მოითხოვს დედამინის კონტინენტებზე, ქვეყნებში, ქვეყნის შიგნით, ადგილობრივი მაცხოვებლების თავისუფალი აზროვნებისათვის პირობების სახელმწიფოებრივად უზრუნველყოფის ფონზე, თვითგანვითარებადი ეროვნულ-დემოკრატიული სახელმწიფოებრივობის ორგანიზაციასა და, ამ ბაზაზე, მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემოქმედებას; ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების ცენტრისკენული მართვის გეოპოლიტიკური მიზანი, რომელიც ფარული ზრახვებით ქვეყნის ხელისუფლებაზე ზემოქმედების გზით, აღნიშნული არჩევნების შედეგად დაფიქსირდა საქართველოში ხელივნურად (ხელისუფლების მიერ ინფორმაციის ბლოკირება), იყო სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ანტიდემოკრატიულად რეალიზების აქტი. ამ აქტისაგან ქვეყნის დაზღვევა, ცხადია, შესაძლებელი იყო, თუნდაც, მხოლოდ უურნალი „ეკონომიკის“ მიხედვით უკვე 2004 წლიდან გამოქვეყნებული, შესაბამისი პუბლიკაციების საჯაროდ განხილვა-გაანალიზების კვალობაზე; მაგრამ ასე არ მოხდა. შედეგად კი მოხდა ის, რომ – პოლიტიკური ცხოვრება (პრაქტიკა) საზოგადოებრივ მეცნიერებას გაემიჯნა, ადამიანის განადგურება სახელმწიფოებრივ სისტემაში მოექცა და, შესაბამისად, ამ სისტემის განახლების გარდაუვალობა აშკარა გახდა.

პოლიტიკური მეცნიერებისაგან პრაქტიკის გამიჯვნა რო-

გორც ადამიანის ეროვნულ-დემოკრატიული უფლებების მიტაცების პოლიტიკა, სახელმწიფოებრივობის პრაქტიკაში, ზემოხსენებული, ცენტრისკენული პოლიტიკური კურსის მიხედვით განხორციელდება თანმიმდევრულად; განხორციელდება იგი: პროფესიონალების (პოლიტიკურ-ეკონომიკურ მეცნიერებას დაუფლებული კადრები) ოლიგარქებით ჩანაცვლებით, ეროვნული კადრების შერეული გენის მატარებელი კადრებით შეცვლის, ხელისუფლებაში სუსტი სქესის წარმომადგენელთა ინტენსიურად დაწინაურება-დასაქმების, აქ დასაქმებულთათვის კომპრომანტების შექმნის კვალობაზე ან/და, ზოგადად კომპრომატების მქონე პირთათვის პიარ-ავტორიტეტების (ცრუავტორიტეტი) შექმნის პრინციპების დაკანონების ნიადაგზე და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობაში უნდობლობისა და არაკეთილგონივრული აზროვნების განვითარება - დანერგვის გზით. ამჯერად კი, საქართველოს ხელისუფლების მიერ მომზადებულმა არჩევნებმა ამ არასრულ ჩამონათვალს შეჰმატა მორიგი, საქართველოს არამოქალაქის დროებით (სამი წლის ვადით!) ხელისუფლებაში დაწინაურების პრეცედენტიც; ეს ყველაფერი და ბევრი სხვა, რომლებიც უპირისპირდება ლაზარეს სოციალურ მოთხოვნებს, ინვეს ერის, როგორც სოციალური თუ საზოგადოებრივი წარმონაქმნის, და, მაშასადამე, ქვეყნისათვის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ფუნქციის მოშლას; ეს ღონისძიებები და, აქედან გამომდინარე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო გარემო გახდა მიზეზი იმისი, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება „ახალი სიტყვა“, რომელმაც თავიდანვე თქვა უარი ამ არჩევნებში მონაწილეობაზე, კვლავ (ამ არჩევნების დასრულებისთანავე) განაგრძობს ბრძოლას ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის – ქართული ეროვნული სახელმწიფოს თვითგანვითარების ახალი 2000 წლეულით გახანგრძლივებისათვის¹; – „ჩვენ არ გვეთმობა ჩვენი მამული“ – განაცხადა ერის გასაგონად „ახალი სიტყვის“ პოლიტიკურმა საბჭომ, ჯერ-კიდევ, არჩევნების წინა პერიოდში².
მივგაჩნია, რომ დამდეგი 2000-წლეულების გასაყარზე ქარ-

1 იხ. გაზ. „ძველი-ახალი სიტყვა“ №16 (143), 2012.

2 გაზ. „ძველი-ახალი სიტყვა“ №12, 2012.

თული სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანა – ახალი დროის შესაბამისად სახელმწიფო სისტემის შეცვლა, როგორც ახლად აღმოჩენილი უზენაესი კანონის სოციალური განსაზღვრულობა, უნდა აიძულებდეს ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას, აღარ დააყოვნოს და წარმოაჩინოს ერისა და ქვეყნის წინაშე გამოკვეთილად, სწორედ, პ.გ. „ახალი სიტყვის“ სამუშაო გეგმა-პროგრამები; ხელისუფლებამ უნდა მისცეს ამ ორგანიზაციას შესაძლებლობა, სათანადო მასობრიობით და საჭირო დეტალებით გააცნოს თავისი ეს გეგმა-პროგრამები მთავრობასა თუ ამომრჩევლებს; რამე თუ ამ უკანასკნელს კი არ წაერთვას კონსტიტუციური უფლება, არამედ, შეექმნას პირობები ეზიაროს „ლაზარე“ – ახალ სიტყვას და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს თავისი არჩევანი ხელისუფლების სახელმწიფოებრივ არჩევნებზე;

ბუნებრივია, რომ ახალი სიტყვა – „ლაზარე“-ს აღიარებაზე უარი ხელისუფლებამ პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, ასევე საჯაროდ უნდა გამოიტანოს, ცხადია, სათანადო მეცნიერული დასაბუთებულობების საფუძველზე. ხოლო პასუხისმგებლობა რომელზედაც აქ არის საუბარი, შეეხება არა მხოლოდ ქართული ეროვნული ცნობიერების უწყვეტობის შენარჩუნებას, არამედ, რაც არანაკლებ საგულისხმოა, შეეხება იგი ჩვენი ხელისუფლების პასუხისმგებლობას დანარჩენი (ლაზარე – ენის არმცოდნე) კაცობრიობის წინაშე; რამე თუ მათთვის სათანადო თანმიმდევრულობის დაუცველობის პირობებში, კანონი – „ლაზარეს“ შემცნებისა და მასთან შესაბამისობით თვითგანვითარების საქმიანობის აღსრულება მშობლიურ ქვეყნებში, ცხადია, იქნება პრობლემური; ანუ, – აქ საუბარია ქართველი ერის პასუხისმგებლობაზე იმ საქმიანობაში რასაც ჰქვია კაცობრიობის თვითშენარჩუნება და, მაშასადამე, – ჰქვია დედამინის სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის დაცვა, – ჰქვია ახალ 2000 წლეულში დედამინაზე სიცოცხლის არსებობის შენარჩუნება.

სხვა სიტყვებით: უზენაესი კანონი-„ლაზარე“; დღეიდან, როცა დედამინაზე ახალი 2000-წლეული დაიწყო, ამ 2000-წლეულის ადამიანებისაგან მოითხოვს თვითშემეცნება-თვითრეალიზაციას, ეროვნული მისიისა და სახელმწიფოებრივობის სოციალურ-ეკო-

ნომიკური დანიშნულების შემეცნება-გაცნობიერების ნიადაგზე. ეს მოთხოვნა, რომელიც ამ ეტაპზე, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებამ პირველმა უნდა გაითავისოს, დანარჩენი კაცობრიობისათვის ხელმისაწვდომი და შემეცნებადი მანვე უნდა გახადოს დამოუკიდებელი საქართველო სახელმწიფოს შემოქმედებისა და ორგანიზაცია მართვის ნიადაგზე*.

* **მინაცერი:** ძვირფასო მკითხველო მოგეხსენებათ, კვლევითი ნამუშევრებით რომელსაც გასული 10-14 წლის მანძილზე უწყვეტად მე, **დაუინებული მოთხოვნით**, უურნალ ეკონომიკაში გამოქვეყნებულ სტატიებში თანმიმდევრულობით გადმოვცემ, ვემსახურები საზოგადოებრივი მეცნიერების პოზიციიდან ახალი სიტყვის შემეცნება-გაცნობიერების საქმეს. ამ კვლევის შედეგად დღეისათვის უკვე გაცნობიერებული მაქეს, რაც ამჯერად, არებითია, შემდეგი სახლე: 1. ახალი სიტყვა იგივე, უზენაესი კანონი - ლაზარეა; 2. მისი ამ პოზიციიდან შემეცნება-გაცნობიერება, რაც უნდა განხორციელდეს დედამინაზე ამ კანონის მიხედვით, დამდეგ 2000 წლეულში გარდამავალ პერიოდში, მოითხოვს დედა-ენის (ლაზარე) ფლობას და, მაშასადამე, იგი (შემეცნება-გაცნობიერება) დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს; 3. ეს საქმიანობა თავისთავად, უკვე არის დედამინაზე ოდესალაც დედა-ენის საკაცობრიო ფუნქციის მქონე **დაზარესათვის** ამ (საკაცობრიო) დანიშნულების აღდგენის პროცესი; ანუ ეს არის ოდესალაც ნავარაუდევი, „ლაზარეს აღდგინების“ პროცესის დაწყება და, 4. ამ ამოცანის გადაწყვეტა (არის რა იგი თავად „ლაზარეთი“ განსაზღვრული სოციალური აუცილებლობა) ქართველი ერის სიცოცხლის (თვითგანვითარება) ახალი 2000 წლეულით გახანგრძლივების განმსაზღვრული ობიექტური პირობას.

მოკლედ, მოკვლეულია ის რომ ასტრო-ფიზიკურ სისტემაში დედამინის ურთიერთობებს განაგებს უზენაესი კანონი - „ლაზარე“ და ამ კანონის შემეცნება-გაცნობიერების საქმე, ამ ეტაპზე მოითხოვს საქართველოს ეროვნულ-ერთიანობასა და სათანადო სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღებას.

საგულისხმოა, რომ ჩემი ეს კვლევა და მისი შედეგების გამოქვეყნების საქმე ეფუძნება მხოლოდ ჩემს მცირე საპენსიო შემოსავალს, ამასთან ერთად, – რომ უურნალი „ეკონომიკა“ წელიწადში (ექვსი წომე-

რი) ვრცელდება მხოლოდ გამოწერით – ხელმომწერებისათვის განსაზღვრული ტირაჟით; აქ განსაკუთრებული პოზიტივი ამ შედეგების შესახებ ფართო მკითხველისათვის ინფორმირების თვალსაზრისით, იმთავითვე არის განსაზღვრული ამ ხელმომწერი-მკითხველისათვის; თუმცა, (რაც მათს არაგულწრფელობაზე მეტყველებს), ეს უკანასკნელი თავის მხრივ, ამ დაუინებული მოთხოვნით გამოქვეყნებულ სტატიებს, ჯერ-ჯერობით მაინც, დუმილით პასუხობს (არ ეხმაურება). ამ ყველაფრის შედეგი, (ე.ი. მეცნიერების ფინანსური და ინფორმაციული შეზღუდვა, მკითხველის აქტიურობის გამორიცხვა), რაც არაეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური ტაქტიკის ნაყოფია, დღეს უკვე დაფიქსირებულია მიმდინარე წლის სახელმწიფოებრივი არჩევნების შედეგებში. ერთოდ, საარჩევნო მარათონზე და არჩევნების შედეგებში, რომ უნდა ასახულიყო, რაც მთავარია, ამომრჩევლის მიერ 2000 წლეულის გასაყარზე დაფიქსირებული თავისი ქვეყნის თვითგანვითარების ეროვნულ-პოლიტიკური ნება (ანუ, ერთის მხრივ, ნატოსთან საქართველოს ინტეგრაციის მომხრეებსა და, მეორს მხრივ, ამგვარი ინტეგრაციის მოწინააღმდეგე ამომრჩეველთა რიცხვებს შორის სხვაობა), არ აისახა, – ეს მთავარი კითხვა რასაც ახალი დრო მოითხოვს, უპასუხოდ დარჩა!

ძვირფასო მკითხველო როგორც მკვლევარმა, უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ, ვინაიდან გაერთიანება „ახალი სიტყვის“ თაოსნობით მიმდინარე ეს საქმე – „ლაზარეს“ შემეცნება-გაცნობიერება – ეროვნულია, მისი აღსრულებაც ყველა ჩვენთაგანის – ამ ახალი დროის სრულწლოვანი ქართველის – გულწრფელობას დაეფუძნება მხოლოდ. რამეთუ გულწრფელობა, როგორც ლაზარედან იკითხება, არის ადამიანის ის სულიერი გაწონასწორებულობის გამოხატულება, (გულისცემის ნორმალური რიტმი), რომელიც ასტროფიზიკურ სივრცეში თავად დედამინის გაწონასწორებული მოძრაობის რიტმის შესაბამისია (ე.ი. ამ შესაბამისობის დამცველია).

გთავაზობთ: ვისარგებლოთ ქვეყანაში სახელმწიფოებრივად დაშვებული კონკრეტული დემოკრატიული უფლებით და გავიღოთ შესაძლებლობის ფარგლებში, სპონსორობის ან/და ჩემს ანგარიშზე № GE60LB2620040545060431 „ლიბერთი ბანკში“ ჩარიცხვის წესით, თუნდაც, მცირედი თანხა მიზნობრივად – „ლაზარეს“ შემეცნების (კვლევის, პუბლიკაციების, წყარო-ლიტერატურის შექმნის) ხარჯების დასაფარავად. პატივისცემით, ეთერ თაკალანძე.